ხელშეკრულება 1/23-515
- 78

ქ. თბილისი 20.04.2023

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი", წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მეხრიშვილის სახით (ბრძანება №01953. 30/09/2015), (შემდგომში წოდებული როგორც "შემსრულებელი") და მეორეს მხრივ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, წარმოდგენილი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (აპარატის უფროსი) ელენე დუმბაძის სახით (შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი"), საქართველოში მოქმედი კანონების და საწარმოს დებულების შესაბამისად, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი დამკვეთის მოთხოვნის და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 17 მარტის გამოცემული განკარგულება N128-ის საფუძველზე ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ბალანსზე რიცხული ამორტიზირებული და გამოუყენებელი ჩამოწერილი ქონების განადგურება-დამარხვის მომსახურებას ქ. თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე (შემდგომში "მომსახურება").
1.2 კლასიფიკატორის კოდი: 905 000 00; 905 133 00.

მუხლი 2. ხელშეკრულების პირობები

2.1 შემსრულებელი ვალდებულია დროულად და ხარისხიანად მოემსახუროს დამკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
2.2 დამკვეთი ვალდებულია ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და განსაზღვრული პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 შემსრულებელი ვალდებულია:
3.1.1 დროულად და ხარისხიანად განახორციელოს 1.1 მუხლში აღნიშნული მომსახურება.
3.2 შემსრულებელს უფლება აქვს:
3.2.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დამკვეთისაგან მოითხოვოს მომსახურების ღირებულების დროულად გადახდა.
3.2.2 დამკვეთისაგან მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.
3.3 დამკვეთი ვალდებულია:
3.3.1 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და პირობებით გადაუხადოს შემსრულებელს მომსახურების ღირებულება.

3.4 დამკვეთს უფლება აქვს:

3.4.1 მოითხოვოს შემსრულებლისაგან უხარისხოდ გაწეული მომსახურების გამოსწორება.

3.4.2 მოითხოვოს შემსრულებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვა.

3.4.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 4. ანგარიშსწორება და ხელშეკრულების ღირებულება

4.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

4.2 1 ტონა პროდუქციის განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ღირებულება შეადგენს 23.26 ლარს დღგ-ს ჩათვლით. თუ დადგინდება, რომ, გასანადგურებელი-გაუვნებელყოფას დაქვემდებარებული საქონლის წონა შეადგენს 1 ტონაზე ნაკლებს, დამკვეთი იხდის 1 ტონის მომსახურების საფასურს.

4.3. დამკვეთი ვალდებულია ჩარიცხოს თანხა შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

4.4. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შემდეგ მხარეები ადგენენ სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, რაც ადასტურებს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას.

4.5 შესყიდვის მომსახურების მიღება-ჩაბარებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) მერაბ კორძახიას დასკვნის საფუძველზე, განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი ხვიჩა ბენდელიანი.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა მხარეებს არ ათავისუფლებთ ხელშეკრულების შეწყვეტამდე შესასრულებელი ვალდებულების შესრულების მოვალეობისაგან.

მუხლი 6. სადავო საკითხების მოგვარება

დამკვეთსა და შემსრულებელს შორის წინამდებარე ხელშეკრულების რეალიზაციისას წარმოშობილი სადავო საკითხები წესრიგდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა მუხლი და დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შეიძლება მოხდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, რომელიც უნდა იყოს წერილობითი. ზეპირ გარიგებებს ძალა არა აქვთ.
7.3 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად, ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

მუხლი *8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების ხარისხის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა-ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და „შემსყიდველის“ მოთხოვნებთან.
8.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ, „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ მომსახურების ნაკლს წუნდების მიზეზების მითითებით.
8.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება) მერაბ კორძახია.

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

შემსრულებელი

შ.პ.ს „თბილსერვის ჯგუფი"
მის: ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილი №67
საიდ. კოდი: 206 267 494
ს.ს „საქართველოს ბანკი" ცენტრ. ფილ.
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა.ა. GE 81 BG 0000 0004 9921 1307

დამკვეთი

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
მის: ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ს/კ: 204 495 055
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

შ.პ.ს. „თბილსერვის ჯგუფი"
საყოფაცხოვრებო ნარჩენების
მართვის სამსახურის უფროსი
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი მეხრიშვილი

აპარატის უფროსი

ელენე დუმბაძე

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი და ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი ვადასტურებთ, რომ, აღნიშნულ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით (შ.პ.ს „თბილსერვის ჯგუფი”).

ელენე დუმბაძე

მაია გეგია

დავით გამცემლიძე

შალვა ლომსაძე

ხვიჩა ბენდელინი

თინათინ კუპატაძე

მერაბ კორძახია